შ.პ.ს. “ ედრი + ”

ვამტკიცებ შ.პ.ს. “ედრი+” დირექტორი

ი. მანწკავა



საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №12
ნაკვ № 01.14.05.008.288 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის

პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

თბილისი 2017 წ

დავალების თანახმად საჭიროა შედგეს საექსპერტო დასკვნა, ქ.თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №12 ნაკვ № 01.14.05.008.288-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი:

1. ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №12 ნაკვ № 01.14.05.008.288-ში მდებარე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის არქიტექტურული ნაწილი;
2. ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №12 ნაკვ № 01.14.05.008.288-ში მდებარე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი;
3. ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №12 ნაკვ № 01.14.05.008.288-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობები.
4. ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №12 ნაკვ № 01.14.05.008.288-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კომპიუტერული გაანგარიშების შედეგები

პროექტი დამუშავებულია შ.პ.ს. “ჯი აი პი ენ”-ს მიერ, დირექტორი ო> ქვრივიშვილი, პროექტის მთავარი კონსტრუქტორი ო. ქვრივიშვილი, კონსტრუქტორი მ.მუმლაძე.

მოცემული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია შესაბამისი არქიტექტურული პროექტის და საქართველოში მოქმედი სათანადო ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე.

ნაგებობა გაანგარიშებულია დატვირთვების შემდეგ ზემოქმდებაზე:

სამშენებლო მოედნის სეისმიურობა - 8 ბალი (0.17g);

ქარის ნორმატიული დატვირთვა - 38 მ/წმ;

თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგ/მ2.

შენობის მზიდი სივრცითი კონსტრუქციული სისტემა და ფუძე-საძირკვლები გაანგარიშებულია "SAP2000" საანგარიშო კომპლექსის გამოყენებით და გაანგარიშებულია სპექტრული მეთოდით..

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით დასაპროექტებელია 15 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და ერთ სართულიანი გარაჟი. 15 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა ღერძებში მაქსიმალური ზომებით 35,20X16,00 მ, ნაგებობას განივი მიმართულებით გააჩნია სამი, გრძივი მიმართულებით ხუთი მალი.

საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, სამშენებლო ტერიტორია იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში.

ნაგებობის დაფუძნება ხდება მოყავისფრო ჟანგისფერ არგელიტებისა და ქვიშაქვების თხელშრეობრივ მორიგეობაზე, რომლის საანგარიშო მახასიათებლებია:

საძირკვლებად მიღებულია მონოლითური რკინაბეტონის ფილა სისქით 100 სმ, ბეტონი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით C35/45 EN 206-1 ნორმის შესაბამისად, არმატურები A500C

ერთსართულიანი ავტოსადგომის საძირკვლებს წარმოადგენს წერტილოვანი საძირკვლები, რომლებიც ერთმანეთთან შეკრულია მონოლითური რკინაბეტონის კოჭებით.

როგორც 15 სართულიანი შენობა ისე ერთსართულიანი ავტოფარეხი გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, მონოლითური რკინაბეტონის სვეტები, რიგელები და გადახურვის ფილები ხისტადაა დაკავშირებული ერთმანეთთან, ამით იქმნება ერთიანი ხისტი დიაფრაგმა, რაც მნიშვნელოვანია სეისმიური დატვირთვების მისაღებად.

მისისქვედა ნაწილში მრავალბინია საცხოვრებელ სახლს გააჩნია მონოლითური რკინაბეტონის სარდაფის კედლები, სისქით 200 მმ., ასევე გააჩნია მონოლითური რკინაბეტონის დიაფრაგმები როგორც გრძივი ისე განივი მიმართულებით სისქით 200 მმ.

დიაფრაგმებში ბეტონი 17.00 ნიშნულამდე კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით C35/45 EN 206-1 ნორმის შესაბამისად, 17.00 ნიშნულს ზემოთ - კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით C30/37 EN 206-1 ნორმის შესაბამისად, არმატურები A500C

სვეტები მონოლითური რკინაბეტონისაა; ბეტონი 17.00 ნიშნულამდე კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით C35/45 EN 206-1 ნორმის შესაბამისად, 17.00 ნიშნულს ზემოთ - კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით C30/37 EN 206-1 ნორმის შესაბამისად, არმატურები A500C

რიგელები მონოლითური რკინაბეტონისაა განივი კვეთით 400X600(h)მმ რიგელებში ბეტონი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით C35/45 EN 206-1 ნორმის შესაბამისად, არმატურები A500C

გადახურვები და კიბეები მონოლითური რკინაბეტონისაა, სისქით 18 სმ, ბეტონი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით C35/45 EN 206-1 ნორმის შესაბამისად, არმატურები A500C

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ.თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №12 ნაკვ № 01.14.05.008.288-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით და პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს რომელიც წარმოდგენილია საექსპერტოდ, რეკომენდაცია ეძლევა განხორციელებისათვის

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი ლ. ზამბახიძე
T: 551-24-30-18

ელფოსტა: Lerizam@mail.ru